ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №87
2019 წლის 27 თებერვილი

ქ. ხონი

ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო ქონების შესახებ'' მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს კანონის ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის“ თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების შესაბამისად, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს ქ. ხონის ტერიტორიის ზონირება დანართი 2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ'' ხონის მუნიციპალიეტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის №47 დადგენილება.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ვალერი ბახტაძე**

დანართი 1

ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ

1. ქ.ხონის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დიფერენცირებულია ტერიტორიის ზონირების შესაბამისად სამი ზონის მიხედვით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

CN = IMG x ITL x C x K, სადაც:

ა) **CN** – არის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 1კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) **IMG** - არის ქ.ხონის მაკრომდებარეობის ინდექსი,რომელიც შეადგენს **0,42**-ს;

გ) **ITL** – არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი,რომელიც ცენტრალური ზონისთვის უდრის **1,2**-ს, შუალედური ზონისთვის უდრის **1,0**–ს, ხოლო პერიფერიული ზონისთვის უდრის **0,8**-ს;

დ) **C** – არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1.კვ.მ-ზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის **0,24** ლარს;

ე) **K** – არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის **139**-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით, ქ.ხონში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1.კვ.მ მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს შემდეგი სახით:

N	ზონა	IMG	ITL	C	K	CN (ლარი) CN=IMG x ITL x C x K
1	ცენტრალური	0,42	1,2	0,24	139	16.8
2	შუალედური	0,42	1,0	0,24	139	14.0
3	პერიფერიული	0,42	0,8	0,24	139	11.2

3. ხონის მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1.კვ.მ-ს ნორმატიული ფასი განისაზღვრება ქ. ხონის შუალედური ზონისთვის დადგენილი მაჩვენებლის **40%**-ს ოდენობით და შესაბამისად შეადგენს **5.60** ლარს.

4. ხონის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1.კვ.მს ნორმატიული ფასი განისაზღვრება ქ.ხონის შუალედური ზონისთვის დადგენილი მაჩვენებლის 30%-ს ოდენობით და შესაბამისად შეადგენს 4.20 ლარს.

5. ხონის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი ,,საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დაგენილებით განსაზღვრულ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრება ქ.ხონის შუალედური ზონისთვის დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის არანაკლებ **50%-თ** და შესაბამისად შეადგენს **7.0** ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი ფასი.

დანართი 2

ქ. ხონის ზონების აღწერა	ლოკალურ ტერიტორიული ინდექსი ITL
ცენტრალური ზონა	
ცენტრალური ზონის საზღვარი გასდევს ვ. ბახტაძის ქუჩას, ქალაქია ცენტრალური სტადიონის დასავლეთ საზღვრამდე. შემდეგ საზღვარი გასდევს ახალგაზრდობის ქუჩას, კვეთს ი.ჭავჭავაძის ქ. №5 საცხოვრებელ სახლთან და ვრცელდება სამხრეთით სამრეწველო ბაზრის ტერიტორიის ჩათვლით,მ შემდეგ საზღვარი მიემართება სამხრეთ აღმოსავლეთით ი.აბაშიძის ქუჩის გადაკვეთამდე და მოიცავს ავტოსადგურის ტერიტორიას, ხაზი გრძელდება სამხრეთით მ.ხონელის ქუჩისა და მ.ხონელის მე-2 შესახვევის გადაკვეთამდე, ჩრდილოეთით მ.ხონელის ქუჩის გასწვრივ გ.ჭანტურიას	

ქუჩის გადაკვეთამდე, გასდევს ქუჩის №13 საცხოვ.სახლამდე. ხოლო შემდეგ საზღვარი მიემართება ჩრდილოეთით და კვეთს ჭანტურიას ქუჩას, გურამიშვილისა და შამათავას ქუჩებს სოლ.მეორის ქუჩის გადაკვეთამდე, საზღვარი გაზდევს სოლ. მეორეს ქუჩის მარჯვენა მხარეს საცხოვრებელ ბინამდე. გრძელდება სამხრეთ დასავლეთის მიმართულების და უერთდება ვ.ბახტაძის ქუჩას საწყის წერტილში.	1,2
შუალედური ზონა	
შუალედური ზონის საზღვარი ჩრდილოეთით ნუცუბიძის და პუშკინის ქუჩების გადაკვეთიდან მიემართება სოლ.მეორის ქუჩისაკენ და კვეთს მას №21 სახლთან, გრძელდება დასავლეთით და კვეთს მ.სებუას № 9 საცხოვრებელი სახლთან, იპ.ხვიჩიას 1. №13-18 საცხოვრებელ სახლებთან და რკალისებურად მიემართება სამხრეთ დასავლეთით ვ.ბახტაძის და ახალგაზრდობის ქუჩის პირველი სესახვევის გადაკვეთიდან მიემართება სამხრეთისაკენ და კვეთს ი.ჭავჭავაძის ქ. №20 საცხ.სახლთან, შემდეგ ბაგრატიონის №75–54 საცხ.სახლებთან და გრძელდება რკალისებურად სამხრეთით,კვეთს ი.აბაშიძის ქ. პირველ შესახვევს №14 სახლთან ი. აბაშიძის ქუჩიდან იცვლის მიმართულებას აღმოსავლეთით და გრძელდება მ.ხონელის და 26 მაისის ქ-ის გადაკვეთამდე.შემდეგ მიემართება რკალისებურად აღმოსავლეთით 26 მაისის ქუჩის მარჯვენა მხარით და კვეთს ტ.ტაბიძის,მებუკისა და ნიკოლაძის ქუჩებს №29 სახლთან, გ.ჭანტურიას ქ. №100და აღმაშენებლის ქ. №16–19საცხ.სახლთან. შემდეგ მიემართება ჩრდილოეთით,კვეთს გურამიშვილის ქ-ის,პირველი შესახვევის რუსთაველის ქ-ის გადაკვეთამდე და გრძელდება ნუცუბიძისა და პუშკინის ქ-ის გადაკვეთამდე.	1,0
პერიფერიული ზონა	
პერიფერიულ ზონაში შედის ტერიტორია ჩრდილოეთის მხარეს სოლ.მეორის ქ. №21 სახლიდან ნახახულევის ტერიტორიული ორგანოს საზღვრამდე, დასავლეთით ჭავჭავაძის და ბაგრატიონის ქ-ის გადაკვეთიდან მარტვილის საზღვრამდე, სამხრეთისკენ 26 მაისის და მ.ხონელის გადაკვეთიდან ივანდიდის საზღვრამდე. აღმოსავლეთით ჭანტურიას ქ-ის 100 ნომრიდან კუხის ტერიტორიული ორგანოს საზღვრამდე.	0,8